როგორ აისახება დირექტორთა მმართველობის სტილი თანამშრომელთა კმაყოფილებაზე

თამარ ქებაძე მედეა სვანიძე გიგა გოგინაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის, განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების პროგრამა

თემის ხელმძღვანელი: ბერიკა შუკაკიძე,
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2017

განაცხადი

სამაგისტრო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ იგი წარმოადგენს ორიგინალურ ვერსიას და მასში გამოყენებული ციტირებები დაცულია სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ქებაძე

მედეა სვანიძე

გიგა გოგინაშვილი

30.01.2017წელი

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანია, გავარკვიოთ, როგორ აისახება და რა გავლენას ახდენს სკოლის დირექტორების მმართველობა თანამშრომელთა კმაყოფილებაზე და მათ შრომით განწყობაზე. კვლევა აღწერითი ხასიათისაა, მასში მოცემულია ამჟამად არსებული მდგომარეობა დასმული საკითხის თვალსაზრისით.

აღნიშნული კვლევა იმით არის საინტერესო, რომ შეეხება სასკოლო ცხოვრების გარკვეულ ნიშნულს, რომელიც სკოლის დირექტორების მმართველობის ფორმებსა და თანამშრომლებზე მათ გავლენას უკავშირდება.

კვლევაში მიმოხილულია მმართველობის სხვადასხვა ფორმა და სტილი, რომლებსაც მუშაობის პროცესში წავაწყდით და ზოგადად სასკოლო სისტემის ირგვლივ არსებობს. ვეცადეთ, მაქსიმალურად დაგვეზუსტებინა, მმართველობის რომელი ფორმაა უფრო შედეგიანი და რომელი იმსახურებს ყველაზე დიდ მოწონებას კოლეგებში და რატომ.

აღნიშნული კვლევის მიზანი და დანიშნულებაა, გადმოგვცეს სასკოლო ცხოვრების დღევანდელი სურათი, მოგვაწოდოს ინფორმაცია იმ ურთიერთობათა და დამოკიდებულებათა შესახებ, რომლებიც სკოლის ხელმძღვანელებსა და მათ თანამშრომლებს შორის არის ჩამოყალიბებული.

სასკოლო სისტემის ამ კუთხით განხილვა და შეფასება სამომავლოდ იმის შესაძლებლობას მოგვცემს, რომ გადავაფასოთ მოვლენები და შესწავლილი მონაცემების დახმარებით გავაანალიზოთ, მმართველობის თუ რომელი სტილია ეფექტური სასკოლო ურთიერთობაში და რომელს გააჩნია მეტი დადებითი მხარე.

The aim of above-mentioned research is to find out, how boards of directors reflects and what is their influence about employees' satisfaction and their working vein. The research is descriptive, and there is recently existed condition about raised task.

The above mentioned research is interesting because it is about the school's life benchmark, that is connected the directors' authorities and their influence on their colleagues.

The discussion of ruling is different types and styles, which we faced in the working process and commonly, it exists around the school system. We tried, that obtain more specific information and précising, which system is more effective and gives outcome and also is appropriate for colleagues and why.